F 166 №580

# მხურვალე სალამი მებრძოლ პროლეტარულ პოეტს სანდრო ეულს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 კაპ.

27 მაისი | საქ. საბჭოთა მწერლების ათ დღიური გაზეთი | 1934 წ. №11

საჯარო ბიბლიოთეკა



## სანდრო ეულის პოეზია

გ. ქიქოძე

**სანდრო ეული** პირველი იუბილეარია ქართული პროლეტარული მწერლობის რიგებიდან. მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის თავი იმ გარემოების მომასწავებელია, რომ მუშათა კლასის ლიტერატურულმა მოძრაობამ უკვე განვლო თავისი განვითარების საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი ეტაპი. ეულის სახით დღეს შემოქმედებითი ანგარიშით გამოდის მთელი ლიტერატურული თაობა, რომელმაც პირველად ქართული მწერლობის ისტორიაში თავისი მხატვრული მეტყველება რევოლუციურად ამოძრავებული, საბრძოლოდ ამხედრებული აღმავალი კლასის გრძნობათა და განწყობილებათა გამოსახვას და მასების რევოლუციურ შეგნების მობილიზაციას მოანდომა.

**ეულის** სახით დღეს საბჭოთა ლიტერატურული საზოგადოებრიობა ღირსეულად აფასებს იმ ლიტერატურული პლეადის შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელმაც მტკიცე სათავეები შეუქმნა საქართველოში პროლეტარიატის კლასობრივ მწერლობას.

**ს. ეული** ამ პლეადის საუკეთესო წარმომადგენელია. იგი საუკეთესო ფიგურაა ქართული პროლეტარული მწერლობის გარკვეული ეტაპის.

**ს. ეულის** ძირითადი შემოქმედებითი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას თავისი სამწერლო მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელ მანძილზე ერთი წუთითაც არ დაურღვევია თავისი იდეური შემოქმედებითი გეზის მთლიანობა, არ ძოქცევია პროლეტარიატისათვის უცხო იდეათა გავლენაში, არც ერთხელ არ დაშორებია თავისი კლასის საბრძოლო მიზნებს და ამოცანებს. ამ მხრივ ს. ეულის შემოქმედება მართლაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, აღნიშნულს არაჩვეულებრივი ვოლუციური მხატვრული სიტყვის ორგანიული დაკავშირებით რევოლუციურ პრაქტიკასთან და სოციალისტურ მშენებლობის ყოველდღიურობაში აქტიურ მონაწილეობასთან.

**ს. ეული** სამართლიანად იმსახურებს ქართულ სინამდვილეში პირველი პროლეტარული პოეტის სახელს. მის შემოქმედებით დებიუტთან უსათუოდ დაკავშირებული იქნება ჩვენში იმ ლიტერატურული პოზიციების განმტკიცების ისტორია, რომლის პირველი ღრმა და მკაფიო ელემენტები ჯერ კიდევ **ე. ნინოშვილის** შემოქმედებაში მოიხაზა. ცნობილია, რომ ნინოშვილის შემდეგ მუშათა კლასის მესიტყვეობის პრეტენზიით გამოსულმა მთელმა რიგმა მწერლებმა და ე. წ. დემოკრატიული პოეზიის მთელმა პლეადამ თავის მხატვრულ პრაქტიკაში დასთმო პროლეტარიატის იდეური პოზიციები, დაექვემდებარა ბურჟუაზიულ, წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურულ გარემოცვას და მოექცა ოპორტუნიზმის და ნაციონალისტურ განწყობილებათა ორბიტში.

ამიტომაც პროლეტარული იდეურობის მტკიცე საყრდენზე გაშლილი სამწერლო შემოქმედება, სწორედ იმ ლიტერატურული თაობიდან იწყება, რომლის პიონერი სანდრო ეული არის.

პირველივე პოეტური დებიუტით ს. ეულმა გამოაშკარავა თავისი კლასობრივი შეურიგებლობა რეაქციულ გარემოსთან, თავისი ორგანიული სიახლოვე აღმავალი კლასის საბრძოლო გზებთან და ამით განსაზღვრა მთელი თავისი შემდგომი განვითარების ხასიათი. გლეხობის ღარიბესი ფენებიდან გამოსულმა პოეტმა, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობის და მონარქიულ ბიუროკრატიულ რეჟიმის მთელი ბარბაროსობა, აღზრდილმა პროლეტარიატის რიგებში, შთაგონებულმა თავისი კლასის მებრძოლ მისწრაფებებით, მან პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში თანმიმდევრული რევოლუციური ენტუზიაზმი, საბრძოლო მოწოდების ოპტიმიზმი, გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებული ხმა.

ეს—კი განსაკუთრებულ თავისებურებად გამოსჩანს იმ გარემოცვის გათვალისწინებით, რომელშიაც სანდრო ეულის შემოქმედების პირველი პერიოდი იშლებოდა.

როგორც ვიცით სანდრო ეულის პოეტური დებიუტი 1908 წელს ეკუთვნის. ოქტომბრის გენერალური რეპეტიციის, 1905-ის რევოლუციური მოძრაობის დამარცხების შემდეგ გამძვინვარებულმა რეაქციამ ქვექვეშ მოაქცია ყველაფერი, რაც პროგრესიული, საღი და საუკეთესო იყო იმ ეპოქაში. მხატვრული ინტელიგენციის მთელი ძირითადი მასსა დეცემულობის, მისტიციზმის და ნაციონალიზმის განწყობილებებმა მოიცვა. მისი შედარებით რადიკალური ფენებიც კი უიმედობის და სასოწარკვეთილების მოტივებს მღეროდა. ასეთ გარემოცვაში გაისმა ეულის პოეტური ხმა. ჩვენი იუბილიარის მტკიცე ინდივიდუალობას, მის შეგნებულ რევოლუციურ დამოკიდებულებას თავისი სამწერლო შემოქმედებისადმი, [illegible] მიეწერის ის გარემოება, რომ ის თავითვე მკაცრად გამოეთიშა ნაციონალიზმით მოშხამულ ატმოსფეროს, მისტიციზმისა და დაცემულობის ბორიოსს, უიმედობის და გულხილდაკრეფის განწყობილებებს.

„აღთქმულ ქვეყნისკენ მე გავეშურე
ცეცხლიან გულით,
ალტაცებულით
მღელვარე ზღვაში მედგრად შევცურე“.

პირველი შეხედვით ამ მარტივ სტრიქონებში, ზუსტადაა მოცემული იმ განცალკევებული პოეტური ინდივიდუალობის განწყობილება, რომელიც თავგანწირულად დაუპირისპირდა მთელ საზოგადოებრივ გარემოცვას და უკან დაუხევლად დაიძრა გამარჯვებული რეაქციის სიმხით შერყევილული რევოლუციური იდეალებისაკენ.

**სანდრო ეული** იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს რევოლუციის წინადროინდელ ქართულ მწერლობაში, რომელსაც ერთი სტრიქონიც არ შეუწირავს ძველი ქართული მწერლობის თითქმის განმსაზღვრელი მოტივის—პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმისათვის. მის ლექსებში ჩვენ ვერ ვპოვებთ რევოლუციის წინადროინდელი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მისტიურობისა თუ ესთეტიური თვითმიზნურობის ნატამალსაც კი.

და მართლაც ეულის მთელი პოეტური კრედო განტვირთულია რაიმე ზერეალური, ბუნდოვანი და განყენებული მოტივებისაგან. მან სრული უფლებით, ყოველგვარი გადაჭარბების და პოეტური თვითკმაყოფილების გრძნობის გარეშე შეუძლია თქვას:

„მე შემოვედი
პოეზიაში
როგორც პოეტი.
შრომის და ბრძოლის“.

ბრძოლა და შრომა—ეს ორი ძირითადი მოტივი განსაზღვრავს ეულის მთელს შემოქმედებით თავისებურებას. თუმცა ეულის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის შემცველი პერიოდის უდიდესი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული დიქტატურის ხანას მიეკუთვნება, მაგრამ ეული, როგორც გარკვეული შემოქმედებითი თავისებურების პოეტი ჩამოყალიბდა პროლეტარულ რევოლუციამდე.

მისი პოეტიკის ძირითად სპეციფიკას მოწოდებითი პათეთიკა შეადგენს, ეულის პოეზიაში მეტად მკრთალია და იშვიათი ლირიკული სიობილე.

მის პოეზიაში პირადი განცდების და ინტიმურ მგრძნობელობის მოტივები მთლიანად დაფარულია კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციური თავგანწირულობის ემოციებით. ეული როგორც თავისი პოეზიის იდეურ შინაარსობრივი გეზის მთლიანობით, აგრეთვე თავისი პოეტიკის მხრივაც უდიდესი პრინციალობით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ იგი არ მოქცეულა არც ერთი ახალ ქართულ პოეზიაში ცნობილ ლიტერატურული სკოლის პოეტურ ტრადიციათა გავლენაში. მისთვის სრულიად კვალ დაუჩნევლად გაიარა მხატვრული დეკადანსის პოეტურმა კულტურამ, ქართული ფუტურიზმის ტრადიციებმა და საერთოდ ბურჟუაზიულ - წვრილ - ბურჟუაზიულ პოეტურ სკოლათა ფორმალისტურ პოზიციებმა. იგი თითქო შეგნებულად გაურბოდა პოეტურ კულტურის იმ ახალ და გამახვილებულ ფორმებს, რომლებშიაც მუშათა კლასისათვის უცხო და მიუღებელი იდეები და განწყობილებანი პოულობდენ თავის გამოხატულებას.

თავისი დროის პოეტური კულტურისადმი ასეთ პრინციპიალურ დაპირისპირებაში მდგომარეობს ეულის მხატვრულ საშუალებათა არამრავალფეროვანების მიზეზი ეულის ლექსებს არა ახასიათებს რითმის ან მუსიკალური კომპოზიციის გამახვილებული ოსტატობა. იგი არ ტვირთავს ლექსს სახეებით და მეტაფორებით. ეულის მთელ მხატვრულ საშუალებათა ინვენტარი ძირითადში მოწოდებითი ფრაზის ოსტატობით არის განსაზღვრული.

**ეულის** დამსახურება პროლეტარული სტილის ელემენტების მოხაზვის საქმეში თვალსაჩინოა, რამდენადაც მან ლექსი განტვირთა ყოველგვარი მისტიური ნალექისაგან, ესტეტიური თინბაზობისაგან და ლექსის არნაგობის მთელი ბუნება მთლიანად დაუმორჩილა მებრძოლი კლასის იდეებს.

ეულის პოეზიის იდეურ-თემატიური შინაარსი ყოველთვის განსაზღვრულია იმ კლასის კონკრეტული საბრძოლო ამოცანებით, რომელმაც იგი აღზარდა და რომლის პოეტადაც ეული ითვლება. თუ ავიღებთ ეულის იმ საკმაოდ პროდუქტიულ შემოქმედებას, რომელიც პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ხანას ეკუთვნის, ჩვენ დავრწმუნდებით. რომ იგი პოეტური გამოხმაურების გარეშე არ სტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წამოჭრილს მუშათა კლასის საბრძოლო პრაქტიკაში.

რევოლუციური წარსულის ეპიზოდები, სოციალისტური ინდუსტრია, ახალი სოფელი და სოციალიზმის მშენებლობის ენტუზიასტები,—ასეთია ის თემატიური არე, რომელზედაც იმყარება ეულის ყოველი ლექსი, მისი ყოველი სტრიქონი.

ეულის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მისი დამსახურებით პროლეტარული მწერლობის სათავეების განმტკიცების საქმეში, იგი ენერგიულად მიჰყვება ჩვენი ლიტერატურული მოძრაობის პროცესს და იბრძვის მის მოწინავე პოზიციებზე დამკვიდრებისათვის. და თუმცა ს. ეულის პოეზიაში ჯერ კიდევ საკმაოდ დაძლეული არ არის ე. წ. კოსმიზმის ტრადიციები, მასში ჯერ კიდევ გამოსჩანს პლაკატური პოეტიკის შტრიხები, მაგრამ ს. ეულის მთელი დღევანდელი პრაქტიკა უსათუოდ წარმოადგენს იმ დეკლარაციის განაღდებას, რომელიც მან შემდეგნაირად გამოხატა:

„ვერავინ იტყვის
ეპოქისთვის არ მიწერია,
ვერავინ იტყვის
ჩემი ლექსი დღეს არ ივარგებს
მაგრამ ხვალე ხომ
ვერ ვიმღერებ რაც მიმღერია,
ხვალისთვის ახალს
და შესაფერს ვამზადებ ჰანგებს“.

ს. ეულის უკანასკნელი პოეტური ნაშრომები, განსაკუთრებით მისი „ბოლშევიკი პარტია“ და სტალინისადმი მიძღვნილი პოემა — „ფოლადის პოეტი“ მოწმობენ იმას, რომ **სანდრო ეული** თავის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს ეგებება შემოქმედებითი პოტენციის ახალი დაძაბვით და საკუთარი მხატვრული პრაქტიკის შემდგომი გაღრმავებისა და გამდიდრების უეჭველი გარანტიებით.

**ს. ეული** თავის სამწერლო მოღვაწეობას ყოველთვის უკავშირებდა პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას. რომ არ ვილაპარაკოთ მის მიერ ჩატარებულ მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაზე ჩვენი კულტმშენებლობისა და პრესის დარგში, აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ **ეულის** სახელთან მჭიდროთაა დაკავშირებული საქართველოში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსება, რომ **სანდრო ეული** ყოველთვის იყო და რჩება ჩვენი პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად.

ის ღირსეული შეფასება, რომელსაც მიიღებს დღეს პროლეტარული საზოგადოებრივობის მიერ **სანდრო ეულის** სალიტერატურო და რევოლუციურ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უეჭველად მისცემს პოეტს მძლავრ იმპულსს ახალ მხატვრულ გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სანდრო ეული

## ჩემი პატარა პარტიას

შენს რიგებში მხნედ ვარ ისევ,
მხნედ მიგულვე მუდამ,
გულს მაღალი რწმენით ვივსებ,
გულს მეტი წვა უნდა...

და თუ მტერი გარს გვარტყია,
ვით ღრუბლები მზესა,—
მეც კვლავ, ჩვენო კომპარტიავ,
გითხზავ ბრძოლის ლექსსა.

ვამბობ ჩვეულ სწორი ხაზით
და ნაკლს ფარდას ავხდი,
თუმც არ მწამდა ლექსი ნაზი,
„ბულბულ-ია ვარდის“,

„ლექსს ლექსისთვის“ მე არ ვწერდი,
(ეს დღეს ვინ არ იცის)
მოწოდებით ლექსს ვიწყებდი,
ვათავებდი ფიცით...

თუმცა ხშირად ცეცხლის ალზე
ლექსი მიწერია
და სიმღერა ბრძოლის ხმაზე
ხშირად მიმღერია.

ქუჩებში და მოედნებზე
თოფს ვახმარდი კალამს,
როს შეტევა გვქონდა მტერზე,
მაღლა ვწევდი ალამს.

მაგრამ მაინც ზოგიერთ ლექსს
დროთა ფარავს მტვერი,—
ზოგი ძალზე მოიკოჭლებს,
ზოგს კი დღესაც ვმღერი...

ხვალ ძლიერი ხმით ვიმღერებ
ვით ვმღეროდი გუშინ,
ლექსს ხმალივით მიუღერებ,
მტერს ჩავასობ გულში.

პოეზიის ბრძოლის ფრონტზე
მეც ვიბრძოდი ერთი,
ვიბრძოდი და კვლავ ვიბრძოლებ,
რადგან ჩემში ერთვის
ჩვენი დროის ნაკადები,
რომ მჭვირვალებს მზითა,
ამ ცხოვრების გიგანტებით,—
ბრძოლებით და ძვრითა...

პოეზიის დამკვრელებში
უნდა მეცა მთვლიდენ,
სოფლებსა და ქალაქებში
ახალ ბრძოლებს ვშლიდე,

ხელში ნაცად იარაღით
პოეტური სიტყვით,—
ბრძოლების დროს სავსე ნაღმით,
დატენილი ტყვიით...

და თუ მტერი გარს გვარტყია
ვით ღრუბლები მზესა,
მეც კვლავ, ჩვენო კომპარტიავ,
გითხზავ ბრძოლის ლექსსა...

შენს რიგებში, მებრძოლებში
მხნედ მიგულვე მეცა...

## სანდრო ეულის 25 წლის იუბილე

### მისალმებები

ძვირფასო სანდრო!

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი მხურვალედ მოგესალმება შენ — პოეზიის ფრონტზე ბოლშევიკური იდეურობისათვის ოცდახუთი წლის მებრძოლ პოეტს.

შენ ერთერთი იმ პირველ პოეტთაგანი ხარ, რომელმაც საკუთარი შემოქმედება გახადე მასების კლასობრივი აღზრდის იარაღად.

შენ ყოველთვის იყავ რევოლუციური ბრძოლებისაკენ მასების მომწოდებელი და კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ მათი დამრაზმველი.

შენი იდეური სიმტკიცე პოეზიასა და ცხოვრებაში ყოველთვის იყო პოეტების ახალგაზრდა თაობის მისაბაძი მაგალითი. შენ ღირსეულად ატარე და არასოდეს არ დაგიხრია მებრძოლი პოეზიის დროშა.

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ შენ მომავალ შემოქმედებაშიაც გაამართლებ ბოლშევიკი მწერლის საპატიო სახელს — შენთვის ჩვეული შეუპოვრობით იბრძოლებ პოეზიის ღრმა იდეურობისა და მაღალი მხატვრულობისათვის, იბრძოლებ იმისათვის, რომ თანამოკალმეებთან ერთად შექმნა ჩვენი დიდი ეპოქის ღირსი სოციალისტური პოეზია.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი

***

ძვირფასო ამხანაგო სანდრო!

საბჭოთა მწერლების კავშირის საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტი მხურვალეთ მოგესალმება თქვენი ოცდა-ხუთი წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო.

მუდამ თავდადებული რევოლუციონერი-ბოლშევიკი და ერთ-ერთი პირველი ქართველი პროლეტარული მწერალი, საუკუნის მეოთხედზე არალეგალური მუშაობის მძიმე და დევნის პირობებში, თქვენ დაუღალავათ იბრძოდით ქართველი მშრომელი ხალხის განსათავისუფლებლად და ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმატებით განვითარებისათვის.

საკავშირო ორგკომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენ შემდეგშიაც კიდევ უფრო წარმატებით განაგრძობთ შემოქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას, გაატარებთ მხატვრულ ლიტერატურაში მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის დიად იდეებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ ისტორიაში უმაგალითო სოციალისტურ მშენებლობასა და უკლასო საზოგადოების შექმნაში.

საორგანიზაციო კომიტეტის ორგმდივანი: ალტმანი.

ორგკომიტეტის ბრიგადის თავმჯდომარე საქართველოში: პავლენკო.

## სახელოვანი ბრძოლის 25 წელი

პ. ჩხიქვაძე

**სანდრო ეული** სამწერლო ასპარეზზე ოცდახუთი წლის მოღვაწეობის თარიღი მჭიდროთ არის დაკავშირებული პროლეტარული მწერლობის წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებასთან.

თუ განვაცალკევებთ პროლეტ. მწერლობის მამამთავარს **ეგნატე ნინოშვილს,** რომლის სამწერლო მოღვაწეობა გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში დასრულდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ შემდგომი თაობის პირველი წარმომადგენელი პროლეტ. მწერლობისა ამხ. სანდრო ეული არის.

1908 წელში დაიწყო მან რევოლუციური ლექსების წერა და მას შემდეგ დიდის ხალისითა და დაუშრეტელი ენერგიით იბრძვის პროლეტარული მწერლობის ზრდისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ძნელი იყო ამ ფრონტზე ბრძოლა... კიდევ უფრო ძნელი ხდებოდა ის რევოლუციურად განწყობილ პოეტისათვის, რომლის ყოველი სტრიქონი იყო ბრძოლა არსებულის და ყოველგვარი ჩაგვრისა და ადამიანის უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ.

პოეტი სანდრო ეული თავის სამწერლო მოღვაწეობას ადვილად უფარდებდა რევოლუციურ ბრძოლის პრაქტიკას. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ბოლშევიკი სანდრო ეული, პარტიულ სამუშაოებში გართული და მის ამოცანებთან ახლო მდგომი, რევოლუციის პირველი დღიდანვე წერს პარტიულ-საგიტაციო ხასიათის ლექსებს.

სანდრო ეულის პოეტური შემოქმედება მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის ყოველდღიურ ამოცანებსა და საჭირბოროტო საკითხებთან. სანდროს ამ მხრივ პოლიტიკური ხაზის გამრუდების საფრთხე არასოდეს არ ჰქონია თავის ხანგრძლივ შემოქმედებით პრაქტიკაში. პარალელურად თავის შემოქმედებით მუშაობისა, სანდრო ეული პროლეტ. მწერლობის ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზატორთაგანია. სხვებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა პროლეტ. მწერლობის ასოციაციას საქართველოში და მთელი რიგი წლების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდა. სანდრო ეული რედაქტორობდა მთელ რიგ ჟურნალებს და სალიტერატურო გაზეთებს.

დღეს, როდესაც ვაჯამებთ სანდრო ეულის ოცდახუთი წლის მუშაობას, რაც ამავე დროს არის პროლეტ. მწერლობის მოკლე ისტორიაც, ჩვენ არ გვინდა ერთგვარი საზეიმო განწყობილებათა თვალსაზრისით შევხედოთ სანდრო ეულის პოეტურ შემოქმედებას. ოცდახუთი წელი, მართალია გრძელი მანძილია, მაგრამ სანდრო ეული ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე მებრძოლი ბოლშევიკია, რომელმაც თავისი პოეტური შემოქმედება საიუბილეო თარიღის შემდეგაც უნდა განავითაროს და იბრძოლოს ახალი პოეტური სიმაღლეების დაპყრობისათვის.

სანდრო ყოველთვის მოწინავე მებრძოლი იყო და ჩვენ გვჯერა, რომ ის მწერლობის ახალ ეტაპზე, ხარისხისათვის ბრძოლის ეტაპზე, ღირსეულად დადგება მონუმენტალური ლიტერატურისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. ამის თავდებია მისი „ფოლადის პოეტი“ „დელეგატი მამა“, „ლენინი“ და სხვა ლექსები და პოემები.

ვუსურვებ ჩვენს სანდროს შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას პოეზიის ფრონტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მისალმებები

უკრაინის საბჭოთა მწერლები მხურვალეთ მოგესალმებით თავის თანამოძმეს თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავის შესრულების დღეს. დარწმუნებული ვართ, რომ იუბილიარი შექმნის კიდევ მსოფლიოში ყველაზე პოეტურ ქვეყნის, სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის ამსახველ მრავალ მხატვრულ ნაწარმოებს. ვუსურვებთ მას ძალღონეს და მხნეობას.

ორგკომიტეტი

✦ ★ ✦

პროლეტარულ პოეტს და ძველ ბოლშევიკს სანდრო ეულს ოცდახუთი წლის იუბილეს დღეს, მხურვალედ ესალმებიან უზბეკისტანის საბჭოთა მწერლები და უსურვებენ შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური ლიტერატურის შესაქმნელად.

**ძმური სალამით უზბეკისტანის საბჭოთა მწერლების კავშირი**

✦ ★ ✦

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი გითვლის მხურვალე სალამს — საბჭოთა პროლეტარული პოეზიის ერთერთ ფუძემდებელს შენი სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავზე.

გისურვებთ მრავალი წლის ნაყოფიერ მუშაობას სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლისდროშის ქვეშ მშრომელი მასების ნებისყოფის დასარაზმავად.

**აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი**

მოგესალმებით თქვენ, პოეტ-რევოლუციონერს პოეზიის ფრონტზე მედგარი მუშაობის 25 წლის შესრულების გამო. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას.

**აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი**

✦ ★ ✦

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კავშირი მოგესალმება ქართული პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, რომელიც იბრძოდით და იბრძვით მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

**სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კავშირი**

## როგორ დაგვაპატიმრეს

**არამ შავერდოვი**

1921 წელია. სამარის პირზე მიმდგარი მენშევიკური მთავრობა, პროლეტარიატის რევოლიუციური მოძრაობის ნამდვილი და აქტიური წარმომადგენლების—ბოლშევიკების მასიური დაპატიმრებით სცდილობს თავის გადარჩენას.

მენშევიკური „ოხრანკა"—განსაკუთრებული განყოფილება კედიასა და ფაჩულიას ხელმძღვანელობით გამძაგებით მუშაობს თავის კონტრრევოლიუციურ საგუშაგოზე. ტფილისის, ქუთაისის, ბათომის და საქართველოს სხვა ქალაქების ციხეები თანდათან გაივსო დაპატიმრებული ბოლშევიკებით, რევოლიუციური მუშებით და გლეხებით.

16 თებერვალია. დილით ვიყავი დაწესებულებაში, რომელსაც ვხელმძღვანელობდი (სომხეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის [illegible] მმართველი). უცებ კაბინეტში შემოიჭრნენ მენშევიკური „ოხრანკის" აგენტები და განმიცხადეს, რომ მე დაპატიმრებული ვარ. რამოდენიმე საათი დამტოვეს ჩემს კაბინეტში, მომიყენეს ერთი აგენტი, დანარჩენები დააყენეს დაწესებულების სხვადასხვა კუთხეში და აგრეთვე ქუჩაზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში აგენტები ემალებიან საქმეზე შემოსულ მოქალაქეთ და იჭერენ მათ ვინაობის გამოსარკვევად—ისინი ეძებენ ბოლშევიკებს.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ჩემთან ამხანაგი სანდრო ეული. სანდრო ჩვეულებრივი ამხანაგური სალამით მოვიდა ჩემთან, სრულიად არ დაეჭვებულა, რომ მე დაპატიმრებული ვიყავი და კუთხეში მჯდომი უცნობი ოხრანკის აგენტია.

რომ სანდრო გადამერჩინა დაპატიმრებისაგან, მე მივმართე მას როგორც ექიმთან მოსულ პაციენტს.

— როგორ გრძნობთ თავს, ხომ მოგიხდათ ჩემ მიერ გამოწერილი წამალი. იშოვეთ თუ არა აბები? რასაკვირველია, სანდრო სრულებით არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. მის სახეზე გულწრფელი განცვიფრება გამოიხატა და დაბნეულობა, სანდროს ვერ გაეგო თუ რას ნიშნავდა საუბარი მის ავადმყოფობაზე და წამლებზე.

კუთხეში მჯდომი აგენტიც გაფაციცებით გვადევნებდა თვალყურს სმენად გადაქცეული. ის თითქოს სჭამდა თვალებით სანდროს.

სანდრო ვერ ამჩნევდა ამას.

მე ვჩქარობ და ვაძლევ სანდროს მედიკური ხასიათის შეკითხვას, რომ გაუქარწყლო აგენტს ეჭვები, მოვაჩვენო მას, რომ სანდრო ჩვეულებრივი პაციენტია და არა პარტიული ამხანაგი. თანაც ვცდილობ ჩემი სახის გამომეტყველებით ვანიშნო სანდროს, თუ რა სახიფათო მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ მან აპოლიტიკური ავადმყოფის ნიღაბი ჩამოიფაროს.

უცებ ჩემი საუბარი შესწყვიტა კედიას აგენტის შეკითხვამ—ის ეკითხება სანდროს:

— ვინ ბრძანდებით თქვენ? მიბოძეთ თქვენი პირადობის მოწმობა.

ახლა უკვე მიხვდა სანდრო თუ რაში იყო საქმე, თუ რატომ, ვაძლევდი მას ასეთ ახირებულ და უცნაურ შეკითხვებს.

სანდრო მიუბრუნდა აგენტს და მშვიდათ უპასუხა:

— მე სანდრო ეული ვარ, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი, რომელიც გებრძვით თქვენ. სანდრომ ამ სიტყვების შემდეგ, ამოიღო ჯიბიდან პარტიული ბილეთი, აჩვენა აგენტს და უთხრა:

— აი ჩემი პირადობის მოწმობა.

— დიდებულია,—დაცინვით წაისისინა კონტრრევოლუციური მენშევიზმის აგენტმა—ჩვენც სწორეთ თქვენისთანა ხალხს ვეძებთ... თქვენ დაპატიმრებული ხართ.

შემდეგ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ქუთაისის და ბათომის ციხეში, სადაც დავყავით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

## რევოლუციის გუშაგი პოეტი

**ქ. მელაძე**

**ს. ეულს** ვიცნობთ, როგორც იდეოლოგიურად ჯანსაღ საუკეთესო პროლეტარულ მწერალს, რომლის ყოველი თქმა, ყოველი უბრალო სტრიქონიც პროლეტარული ბრძოლისა და შრომის მოწოდების ჰიმნია.

ს. ეული პროლეტარული მწერლობის პირველი მოწვევის პოეტია, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა თვითმპყრობელობის დროს, მაგრამ მის ნიჭს და შემოქმედებას ფართო გასაქანი მიეცა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ს. ეული პროლეტარული მწერლობის პირველი მოწვევას ეკუთვნის, რომელიც უმთავრესად ხასიათდებოდა ასბტრაქტულობით და პლაკატიზმით. ცხადია ს. ეული ამ საერთო მოვლენას გვერდს ვერ აუხვევდა და ამის ელემენტები მის შემოქმედებაშიც საკმაოდ მოიპოვება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს პოეტის სახელს. ს. ეული ძველი კომუნისტი მწერალია, რომელიც წარსულში მართლაც „ეული" იყო, რასაც ერთერთ ლექსში თითონაც გარკვევით წერს:

**ვიყავ ეული, ბედით წყეული,**
**ღამე თეული, ყველგან ტრეული,**
**მწარეს ჩვეული, ჭირში ძლეული,**
**ჭირვეული და ფერადლეული.**

მაგრამ მეამბოხე პოეტის გულს ეს ვერ ტეხს და განაგრძობს:

**და მქონდა გული გარკინებული**
**სული კი... სული აცეცხლებული,**
**ფრთებაშევებული, გააფთრებული,**
**განწირული და ამბოხებული.**

ბრძოლამ ს. ეულს ტყუილად არ ჩაუარა: მან მუშათა კლასთან ერთად მიაღწია გამარჯვებას და ჩადგა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. იგი მზადაა რევოლუციას შეეწიროს ოღონდაც კი გაიმარჯვოს მსოფლიო მასშტაბით ოქტომბრის ცეცხლმა.

ს. ეულის ლექსის ყოველი სტრიქონი პოლიტიკურად გამახვილებულია, რაც ხალხს მატებს მის ლექსებს. ამხ. ს. ეულს შეუძლია მომენტის სწორად გაგება, მისი კონკრეტულად შეფასება. ასე მაგ. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

**ჩრდილოეთიდან ოქტომბერი დიდხანს გვიმზერდა,**
**და თორმეტ თვეში არჩევანი ერგო თებერვალს,**
**რომ წითელ დროშით, ხელში თოფით**
**ოქტომბერდა**
**და ხელი მისცა ტფილისიდან მოსკოვს, ლენინგრადს.**
**გული ტოკავდა საგულიდან ამოვარდნილი**
**მოხუც დედასა თავის სახე დავიწყებოდა.**

გარდა ამისა ეულს მთელი რიგი ლექსები აქვს, რომელიც რევოლუციური პათოსითაა დაწერილი, რაც რევოლუციურ ცეცხლს უნთებს ყოველ მკითხველს.

მაგრამ არც ამხ. ს. ეულია დაზღვეული ნაკლისაგან. მასაც აქვს ზოგჯერ ლექსში სახეების გაუბრალოება. ზოგი ლექსის ფორმა, მალზე სუსტია, მაგ. იგი წერს ლექსს სათაურით: **„25 თებერვალი"**, სადაც შემდეგ სტრიქონებს ვხვდებით:

**ბრძოლა გაჩაღდა და ზარბაზნებით**
**მტერს ანადგურებს რაზმები.**
**ტრახ, ტრახ,. ტრახ!..**
**ჩახ, ჩახ, ჩახ. ჩახ!..**
**გამარჯვება ხალხს ერგება.**

„ტრახ და ჩახში" იჩქმალება ლექსის მთავარი იდეა. ეულს ზოგ ლექსში ახასიათებს სქემატიზმი, რასაც ეულმა მომავალში თავი უნდა დაალწიოს. ს. ეულს აქვს აგრეთვე რიგი ლექსებისა, რაც არაფერს არ მატებს მის პოეტურ ღირსებას. მაგ.: სუსტია „მზე და მთვარე", რაც იდილიურ სიმღერამდე დადის.

ს. ეულს აქვს მთელი რიგი ჯანსაღი, ბოლშევიკური გამძლეობით დაწერილი ლექსები, როგორიცაა **„დელეგატი მამა"**, **„ორი ბელადი"**, **„ოქტომბერი სოფლად"**, **„მლაშე ტბასთან"**, **„სტალინი"** და სხვ.

დასასრულ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ს. ეული შრომისა და ბრძოლის მოწოდების მწერალია. ს. ეული პროლეტარულ პოეზიის პიონერია, მან ეს სახელწოდება უდავოდ დაიმსახურა.

გამარჯვებულ კლასს—პროლეტარიატს ესაჭიროება თავისი ლიტერატურა, თავისი მწერლობა, ეულიც ამ მწერლობის წარმომადგენელია.

ეული დღესაც მედგრად დგას პროლეტარული რევოლუციის სადარაჯოზე:

**დღეს მე გულით**
**იმედების დამაქვს ხანძარი**
**დღესაც დარაჯად**
**მე ვუდგევარ რევოლუციას.**

ს. ეული მართლაც ჩვენი რევოლუციის მონაპოვართა ღირსეული დარაჯია. ჩვენი ეპოქის ღირსეული მესიტყვეა. იგი ჯანსაღი პროლეტარული მწერალია, რომლის ყოველი ლექსი ბრძოლისა და შრომის ჰიმნადაა გადაქცეული სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ენტუზიასტებში.

## სანდრო ეული პროლეტარული პოეზიის სათავეებთან

**ერ. ასტვაცატუროვი**

„პროლეტარული პოეზია,—წერს ამხ. მალაქია ტოროშელიძე,—ქვეყანას ევლინება ახალი პათეტიკითა და სოლიდარობით, რაც სრულიად ასხვავებს მას ძველი პოეზიისგან. სულ სხვაა აქ აზრი და იდეა, გრძნობა და ატმოსფეროა, სულისკვეთება და სულ სხვაა მისი ძიებები, სხვაა მისი გამოხატვის ფორმა, სხვაა მისი რიტმი, მისი ტემპი და სიტყვა. ჩვეულებრივ მსმენელს ეს ეხამუშება, ყურს სჭრის, ხერხემლის ამ ძლიერ დისჰარმონიით ეჩვევა და თავს არ იტკივებს გაიგოს—რისგან წარმოდგება და რა კანონს ემორჩილება ეს ახალი მოვლენა, რომელიც, მიუხედავად მისი ახლად ფეხადგმულობისა, ენერგიულად იკაფავს გზას და, როგორც ყოველი სასიცოცხლო არსი, თანდათან ვითარდება და უფრო იზრდება".

ეს ახალი მოვლენა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული აუცილებლობის კანონს ემორჩილება, ის რევოლუციურად იჭრის ცხოვრებაში, კარებს არ აკაკუნებს და ნებას არავის თხოვს. ამიტომ არავითარ ძალას, არც ბურჟუაზიულ და ლიბერალურ-ბურჟუაზიულ კრიტიკის დუმილს, არ შეუძლია შეაჩეროს მისი განვითარება.

ქართულ რევოლუციურ პროზას ყავს თავისი დიდი წარმომადგენელი ეგ. ნინოშვილის სახით. ეგ. ნინოშვილი,—ეს მთლიანი, თანმიმდევარი რევოლუციური მწერალია. რევოლუციური აზრი მის ნაწარმოებებში შემთხვევით წარმოქმნილ ფრაზასავით კი არ შეირჩეოდა, რასაც შემდეგ ასევე შემთხვევით ან „სიტუაციის" გავლენით შეიძლებოდა სხვა მოტივები მოჰყოლოდა, რაც ხშირად ემართებოდა ბევრ მწერალს. მაგრამ მე-29 საუკუნეში არ გვყოლია არც ქართველი გორკი და არც დემიან ბედნი. ოქტომბრამდე ქართულ მწერლობაში ზოლივით მიდის „დემოკრატიული პოეზია". ამ პოეტური მეტყველების დამახასიათებელი იყო სიმბოლიზმი აბსტრაქციური რომანტიკა, განყენებული თემების და საგნების იდეალიზაცია, წინაალმდეგობების შეგუების მოტივები, მერყეობა, რიტორიკა, გაურკვევლობა, პესიმიზმი. ეს იყო მენშევიკური პოეზიის და მწერლობის საერთოდ სათავე. თუ ამ მწერლებს პოლიტიკურ მეტრს მივუყენებთ (ზოგიერთის გამოკლებით), ისინი მენშევიკური აზრის გამომხატველი იყვნენ, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ხმას ერთგვარად „აუწევდნენ", მაგრამ დამცემის პერიოდში კი დაცემულობისა, უიმედობისა და გულგატეხილობის განწყობილებებს აპკურებდნენ მასებს.

ეს ტენდენციები გაბატონებული ტენდენციები იყო ახალი თაობის პოეტებში, ის საზღვრავდა სიტუაციას მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საერთო მდგომარეობაში, ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენაში მრეწველობის მხრით, იმ დროს საქართველოს პროლეტარიატის სისუსტეში და იმ გავლენაში, რომელიც ქონდა ობიექტური პირობების გამო, მენშევიზმს საქართველოში.

ამ „საერთო" განწყობილებაში დისჰარმონია შეჰქონდათ ჩვენს პარტიას და კერძოდ პარტიულ მწერლებს, მათ შორის პირველობა ეკუთვნის ეულს. ამ მწერლებს არ შეეძლოთ ახალი ამინდი შეექმნათ ლიტერატურაში, ამისათვის ისინი სუსტი იყვნენ, მაგრამ მათი მხატვრული სიტყვა და შინაარსი სიახლის გარკვეულ იერს ქმნიდა ქართულ მწერლობაში.

სანდრო ეულის სახით პროლეტარულმა პოეზიამ საქართველოში პირველად დაილაპარაკა გაბედული და ძლიერი ხმით. ის იყო პირველი, რომელმაც მანამდე უჩვეულო ენტუზიაზმით გადმოშალა პროლეტარულ-რევოლუციური მისწრაფებანი.

ს. ეული საქართველოში პროლეტარული პოეზიის სათავეებთან დგას და ენერგიულად ემსახურება დღემდე პროლეტარიატის საქმეს. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ იგი თავიდანვე ახლო კავშირს ამყარებს მუშებთან, ეცნობა მათ ცხოვრებას და წერს ლექსებს იმ აუტანელი პირობების შესახებ, რომელშიაც იმყოფებოდნენ ისინი. 1909 წელს ფოთში ყოფნისას, ს. ეული დაუახლოვდა ნავთსადგურის მუშებს და დაწერა ლექსი მათი ცხოვრების შესახებ:

**შენ მაგ გემიდან გადმოზიდე მძიმე ყუთები...**
**შიგ ჩაწყობილი საქონელი ეკუთვნის მდიდრებს.**
**გაიგე ძმაო, ტანჯვა არის შენი წუთები,**
**და შენი სისხლი, შენი ოფლი მდიდრებს ასუქებს.**

მწერალს შეჰქონდა მუშებში კლასობრივი შეგნება, უმღეროდა მათ შრომას, ტანჯვასა და აუტანელ პირობებს.

ს. ეული უმთავრესად ცეცხლისა და მოწოდების პოეტია. მოწოდება—ეს მისი ლექსალობის ფორმაა, ცეცხლი კი ის საყვარელი რამ, რომელიც პოეტის თითქმის ყველა ლექსში შეგვხვდებათ. ცეცხლი წვავს ძველ ცხოვრებას, იგი აძლევს ძალას და სიცხოველეს ახალ მშენებლობას. ამიტომ იყო, რომ ს. ეულმა თავისი პირველი პოეტური სიტყვა მოწოდებით დაიწყო და მისი შემოქმედება ყოველთვის სიცოცხლის ცეცხლით ღვიოდა:

**არ გვინდა ვიყოთ ტანჯვის ამტანი,**
**ცეცხლი გვიღვივის გულში სიცოცხლის.**

პოეტი შეურიგებლად იბრძოდა კლასობრივი უსამართლობისა და ჩაგვრის წინაალმდეგ, არ ეძლეოდა იგი პესიმისტურ განცდებს, სწამდა პროლეტარიატის ძალა და მისი გამარჯვების აუცილებლობა... პოეტი ყოველთვის აღჭურვილი იყო პროლეტარიატის მებრძოლი ძალის ღრმა რწმენით და არასოდეს არ მისცემია პესიმიზს, გულგატეხილობას. მუშების ყოველი დამარცხება ფეოდალურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინაალმდეგ ბრძოლაში მას მიაჩნდა დროებით დამარცხებად. იგი კვლავ ერთგული რჩებოდა თავისი საბრძოლო მოწოდების. ეს უნდა აეხსნათ იმით, რომ ს. ეული სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სულ მალე უახლოვდება რევოლუციურ მუშებს, კერძოდ ბოლშევიკებს და ექცევა მათი მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ.

ის საერთო გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც არსებობდა იმდროინდელ ქართულ პოეზიაში (1917 წლამდე) ერთგვარ გამოხატულებას პოულობდა ს. ეულის შემოქმედებაშიც. ს. ეულის შემოქმედება ამ პერიოდში თავისუფალი არ იყო აბსტრაქტული რომანტიკისაგან და ზოგჯერ სიმბოლისტური ლექსალობის გავლენას განიცდიდა.

მთელი ეს ტკივილები საუკეთესოდ არის გამომჟღავნებული „მზის ასულში".

**ჩამოდექით, გზა მიეცით, მოდის მზის ასული,**
**მოდის და თან ხელთ უპყრია სხივთა თაიგული,**
**მისი ეშხით ია ჰყვავის, ვარდი იფურჩქნება,**
**ეკალს დამბლა დასცემია, ბარდი შიშით ჭკნება,**
**ჩამოდექით გზა მიეცით, მოდის მზის ასეული,**
**მოდის და თან ქვეყნად მოაქვს ძმობა, სიყვარული.**
**ღამე ბნელი მთის ვიწროში საფლავს ითხრის,**
**კვდება,**
**დედამიწის თეთრ კაბაში ირთვებ-იკაზმება...**
**ჩამოდექით, გზა მიეცით, მოდის მზის ასეული,**
**მოდის და თან ქვეყნად მოაქვს ძმობა-სიყვარული.**

საზოგადოებრივ პროცესს იძლევა სიმბოლისტურ სახეებში და აბსტრაქტულად.

მწერლის შემოქმედება ამ „არაჯანსაღი ელემენტებისგან" გაწმინდა 1917 წლის რევოლუციამ. პოეტი სავსებით იმსჭვალება პროლეტარიატის მებრძოლი იდეებით და მისი ლექსის ძირითად მოტივებად ამ პერიოდში ხდება წმინდა კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარიატის შეგნებული ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, სოციალიზმისათვის.

ს. ეული ბრძოლის პოეტია, რომელიც „ბარიკადებზე თხზავს სიმღერებს ბრძოლის ჰანგებზე და უკრთის საიმედო ღიმი ბაგებზე". სწორედ ამ პერიოდს ეხება პოეტის ავტობიოგრაფიული ლექსი:

**ლექსი ლექსისთვის**
**არ მიწერია**
**სინაზე ლექსში**
**მქონდა ნაგმობი**
**და ბრძოლის ჩანგი**
**ამიჟღერია.**
**მე შემოვედი პოეზიაში,**
**როგორც პოეტი**
**შრომის და ბრძოლის.**

ცეცხლისა და მოწოდების პოეტი, რომელიც ზოგჯერ განყენებულ სივრცეში მოძრაობდა, თებერვლის რევოლუციის შემდეგ გახდა ბრძოლისა და შრომის მოწოდების კონკრეტული და გამართული პოეტი.

ს. ეულის ლექსები იყო მოწოდება ბრძოლისაკენ, მოწოდება მასების დასარაზმავად მენშევიკების დიქტატურის დამხობისათვის:

**გვიქუხს და გვიჭექს ბედისწერა განრისხებული**
**ქარბუქს სწადია ნაცარმტვერად გადაგვაქციოს,**
**დაე გზა ჩვენი დარჩეს ტანჯვად გადაქცეული,**
**მტერი ჩვენს ალამს ხელთ ვერ იგდებს, რომ**
**დაგვიხიოს.**

. . . . . . . . : :

**მტერთან ბრძოლის დროს შესვენება არ შეიძლება,**
**უნდა ელავდეს მშრომელთ ხელში ბასრი მახვილი,**
**მაღაროებში აღზრდილებო—მებრძოლთ რაზმებში...**

ს. ეულის ყოველი ლექსი, დაწერილი მენშევიკების დიქტატურის პერიოდში, გამსჭვალულია გამარჯვების ღრმა რწმენით და ნათელი ხედვით.

პოეტი კი არ თრთის სისხლის საშინელების წინაშე, არამედ უფრო ნათელი ხედვით და პერსპექტივით უმღერს მომავალს. მართალია, აჯანყება დამარცხდა, მაგრამ პოეტმა იცის, რომ ეს დამარცხება დროებითია და გამარჯვების იმედს ნერგავს მასებში:

**მებრძოლებო,**
**ბრძოლის ველი**
**სისხლით არის შეღებილი.**

. . . . . . . . : :

**მაგრამ ალი,**
**ცეცხლის ალი,**
**შორით რომ ჩანს,**
**ამ ძველ მხარეს,**
**ამ ქვეყანას**
**მალე დასწვავს".**

ბოლშევიკური ბრძოლის ცეცხლმა დასწვა მენშევიკური საქართველო. პროლეტარიატი ბრძოლიდან დიქტატურისათვის გადავიდა პროლეტარიატის განმტკიცებისათვის ბრძოლაზე და სოციალიზმის მშენებლობაზე. პროლეტარული მწერლის შემოქმედებაც ამ მოტივებით უნდა გაჟღენთილიყო, წინაალმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავდა იგი, როგორც უტილიტარულ მნიშვნელობას და აქტუალობას, ისე მხატვრულ ღირებულებას.

ს. ეულს კარგად ესმის ეს ახალი ამოცანები, მან იცის, რომ „დღემდე ნამღერი ჩვენთვის არ კმარა" და თავისი ლექსის ძირითად თემატიკურ მასალად იღებს ქარხანას, ახალ მშენებლობას. ს. ეულის შემოქმედება ამ პერიოდში იწყებს განვითარებას. ის წერს ქარხანაზე, სოფელზე, ოქტომბერზე, ზაჰესზე, ლენინზე და, საერთოდ ეხმაურება ყოველდღიურ აქტუალურ საკითხებს. ს. ეულის პოეტურ შემოქმედებას არ ახასიათებს თემატიკური შეზღუდველობა, მისთვის უცხო არც ერთი თემა არ არის, ეს აუცილებლად დადებითი მოვლენაა.

ს. ეულმა, როგორ პროლეტარული პოეზიის პიონერმა, საკმაო გზა განვლო. პროლეტარული პოეზიის სათავეებიდან დღემდე მოდის იგი როგორც ცეცხლის, ბრძოლისა და შრომის პოეტი. საქართველოს პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლის პერიოდში ს. ეული, როგორც ბოლშევიკი პოეტი დარაჯად უდგას პროლეტარიატის კლასიურ სიფხიზლეს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მისი ლექსის თემად ხდება სოციალისტური მშენებლობის ტრიუმფი. ამ გზით განაგრძობს ეული წინსვლას.

რედკოლეგია: დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედ.) რაჟ. გვეტაძე (პ.-მგ. მდ.) ა. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბ. ჟღენტი.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. №68
მთავლიტის რწმ. ბ № 422